საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის

ბრძანება №75

2017 წლის 6 ნოემბერი

ქ. თბილისი

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის ცალკეული პროფესიული საჯარო მოხელეების დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ცალკეული პროფესიული საჯარო მოხელეების დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

მუხლი 2

ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ცალკეულ მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2013 წლის 23 ოქტომბრის №154 ბრძანება („საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდი: www.matsne.gov.ge; ნორმატიული აქტის გამოქვეყნების თარიღი: 25/10/2013წ.; სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010340000.22.025.016119);

ბ) „საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 27 ოქტომბრის №112 ბრძანება („საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდი: www.matsne.gov.ge; ნორმატიული აქტის გამოქვეყნების თარიღი: 29/10/2014წ.; სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010340000.22.025.016156);

გ) „საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ცალკეულ მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 11 ნოემბრის №118 ბრძანება („საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდი: www.matsne.gov.ge; ნორმატიული აქტის გამოქვეყნების თარიღი: 12/11/2014წ.; სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010340000.22.025.016158).

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი **ილია ელოშვილი**